

საიდ. №71099/03

გ ა დ ა ო ო კ ე რ ე ბ ა №41-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ი. გიქორაშვილი (თავმჯდომარე), მ. ბ., დ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „რემტსმა სიგარეტენფაბრიკენ გმბჰ“-ს (Reemstma Cigarettenfabriken GmbH) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №41-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 06 დეკემბრის №1725/03 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც ობშჩესტვო ს ოგრანიჩენნოი ოტვეტსტვენოსტიუ "ლეოვსკაია ტაბაჩნაია ფაბრიკა"-ს სახელზე დარეგისტრირდა საქართველოში სასაქონლო ნიშანი „ИТФ ФЭСТ“ (საიდ. №71099/03) 34-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათველისათვის (34-ე კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, შესაგებელი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „რემტსმა სიგარეტენფაბრიკენ გმბჰ“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, კომპანია „რემტსმა სიგარეტენ ფაბრიკენ გმბჰ“-ს სახელზე საქართველოში სხვადასხვა დროს რეგისტრირებულია მთელი რიგი სასაქონლო ნიშნები: №3883, №3556, №675374, №1042682, №1160318, №860935, №8649, №3547, №8475, №714329, №1162992, №11715. აპელანტის პოზიციით, არსებობს აპელანტი კომპანიის კუთვნილი ნიშნების „WEST“ და სადავო სასაქონლო ნიშნის „ФЭСТ“ შორის სმენითი მსგავსება, რაც აშკარად ქმნის სასაქონლო ნიშნების მომხმარებლის მხრიდან აღრევის საშიშროებას. ყოველივე ეს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აპელანტი ითხოვს, სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 06 დეკემბრის №1725/03 ბრძანების ბათილად ცნობას, რომლითაც ობშჩესტვო ს ოგრანიჩენნოი ოტვეტსტვენოსტიუ "ლვოვსკაია ტაბაჩნაია ფაბრიკა"-ს სახელზე დარეგისტრირდა საქართველოში სასაქონლო ნიშანი „ИТФ ФЭСТ“ (საიდ. №71099/03) 34-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვლისათვის.

მოწინააღმდეგე მხარე ობშჩესტვო ს ოგრანიჩენნოი ოტვეტსტვენოსტიუ "ლვოვსკაია ტაბაჩნაია ფაბრიკა" არ ეთანხმება სააპელაციო საჩივარს შემდეგი გარემოებების გამო:

მოწინააღმდეგე მხარის განმარტებით, საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 06 დეკემბრის №1725/03 ბრძანება ნიშნის რეგისტრაციის შესახებ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით არის გამოცემული. მოწინააღმდეგე მხარის პოზიციით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები არ არიან ერთმანეთის მსგავსნი არც მხედველობითი, არც აზრობრივი და სმენითი კრიტერიუმებით და შესაბამისად მომხმარებლის მხრიდან არ არსებობს აღრევის შესაძლებლობა. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშნის „Ф Э С Т“ + გამოსახულება სიტყვიერი ელემენტი „Ф Э С Т“ შესრულებულია კირილიცის ანბანით, ხოლო აპელანტის ნიშნები “WEST” (ვესტი) ლათინური ასოებით შესრულებული განსხვავებულია, განსაკუთრებით განსხვავებულია პირველი ორი ასო ნიშნების პირველი ორი ასო „Ф Э“ და “WE”, რასაც ემატება გრაფიკული ელემენტები და ფერთა გამა, რომლითაც მომხმარებელი იოლად

განასხვავებს მათ და არ აერევა ერთმანეთში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოწინააღმდეგე მხარე ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 06 დეკემბრის №1725/03 ბრძანების ძალაში დატოვებას და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი თქმას.

კოლეგიამ განიხილა მხარეთა არგუმენტაცია, შესაგებელი, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას სადავო და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მსგავსებასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ სადავო კომპანია ობშჩესტვო ს ოგრანიჩენნოი ოტვეტსტვენოსტიუ "ლეოვსკაია ტაბაჩნაია ფაბრიკა"-ს სახელზე დარეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი „ИТФ ФЭСТ“ (საიდ. №71099/03) და აპელანტი კომპანიის კუთვნილი სასაქონლო ნიშანი „WEST“ (რეგ. №3883, №3556, №675374, №1042682, №1160318, №860935, №8649, №3547, №8475, №714329, №1162992, №11715) არ წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. სადავო და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის არსებობს როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური და სემანტიკური განსხვავება. სადავო და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავებულია ვიზუალურად, რადგან სადავო სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს, რომელიც სიტყვიერ აღნიშვნასთან ერთად შეიცავს გამოსახულებით ელემენტებს, კერძოდ იგი შეიცავს სტილიზებულ წრეს, რომელიც ჰგავს ციურ სხეულს, მის თავზე გამოსახულია გერბი, სადაც დატანილია ფარი და ორი ღომი. ფარის შუაში მოთავსებულია განმცხადებლის სახელის შემოკლებული დასახელება შესრულებული კირილიცათი „ИТФ“, ხოლო

წრეზე გამოსახულია, ასევე, კირილიცის ანბანით შესრულებული სიტყვიერი ელემენტი „ФЭСТ”. რაც შეეხება დაპირისპირებულ ნიშნებს, ისინიც წარმოადგენენ კომბინირებულ სასაქონლო ნიშნებს, რომლებიც ლათინური შრიფტის ასომთავრული ასოებით შესრულებული სიტყვიერი ნაწილის „WEST” გარდა, შეიცავენ განსხვავებულ გამოსახულებით ელემენტებს. ამასთან, სადავო სასაქონლო ნიშანი შედგება ორი სიტყვისაგან „ИТФ ФЭСТ”, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ერთ სიტყვიან სასაქონლო ნიშნებს წარმოადგენს. ნიშნებს შორის არსებული განსხვავებული შრიფტი, სიტყვათა რაოდენობა და განსხვავებული გამოსახულებითი ელემენტები სძენს ნიშნებს იმ დონის განსხვავებას, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა საქონლის მწარმოებლის მიმართ. სადავო და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავებულია ფონეტიკურად, რადგან სადავო სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ ჯღერს, როგორც „ელ – ტე – ფე ფესტ”, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები კი, როგორც „ვესტ”. სადავო და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავებულია სემანტიკურად, რადგან სადავო სასაქონლო ნიშნის პირველი საწყისი ნაწილი „ИТФ” წარმოადგენს ნიშნის მფლობელი კომპანიის აბრევიატურას, ხოლო სადავო სასაქონლო ნიშნის მეორე სიტყვა „ФЭСТ” ფანტაზიურ სიტყვიერ აღნიშვნას წარმოადგენს. რაც შეეხება დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს, ისინი ქართულად აღნიშნავს „დასავლეთს”. რაც კიდევ უფო მეტად ამცირებს სასაქონლო ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. გარდა ამისა, მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება 34-ე კლასის ისეთ საქონელს, რომელიც დაკავშირებულია თამბაქოსთან და სიგარეტებთან, ამ უკანასკნელს კი ჰყავს ამ სფეროში საკმაოდ გათვიცნობიერებული მომხმარებელი, შესაბამისად ნიშნების აღრევის შესაძლებლობა ძალიან მცირეა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და სასაქონლო ნიშნის „ИТФ ФЭСТ” (საიდ. №71099/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „რემტსმა სიგარეტენფაბრიკენ გმბჰ“-ს (Reemstma Cigarettenfabriken GmbH) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 06 დეკემბრის №1725/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ი. გიქორაშვილი

წევრები:

მ. ბ.

დ. ჭიჭინაძე